Stettner v. Poland[1]

(განაცხადი no. 38510/06; 24/06/2015)

განმცხადებელი, სევერინ სტეტნერი, დაბადებული 1951 წელს, პოლონეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ლუბლინში (პოლონეთი). ის იყო უფროსი ექიმი თირკმლის გადანერგვის სპეციალიზაციით. საქმე ეხება მის წინასწარ პატიმრობას კორუფციის ბრალდებით.

ბატონი სტეტნერი დააკავეს 2006 წლის ივნისში, პაციენტებისგან ქრთამის აღების ბრალდებით 1997-2004 წლებში. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში იგი იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში მანამ, სანამ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გადაწყვიტა გაეთავისუფლებინა იგი გირაოს შეფარდების სახით. იმავდროულად, მან გაასაჩივრა მისი პატიმრობის ფაქტი, ამტკიცებდა, რომ მის წინასწარ პატიმრობას შეეძლო გამოეწვია სერიოზული საფრთხე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, რადგან აწუხებდა ძილის აპნოე (ძილში სუნთქვის დროებითი შეჩერება, რომელიც მოოითხოვს ღამით რესპირატორის გამოყენებას). ბატონი სტეტნერის პატიმრობის თაობაზე, პირველ ორ გადაწყვეტილებაში, ევროპულმა სასამართლომ გაამართლა აპლიკანტის დატოვება წინასწარ პატიმრობაში მის წინააღმდეგ არსებული გონივრული ეჭვისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის საფუძველზე. 2006 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებაში, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ არასაპატიმროო ზომები არ იქნებოდა საკმარისი და შექმნიდა საფრთხეს, რომ ბატონი სტეტნერი ხელს შეუშლიდა სამართალწარმოებას. სასამართლოები ასევე ვერ ხედავდნენ იმ მიზეზს, რომ აპლიკანტი გაეთავისუფლებინათ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან მომჩივანს მუდმივი სამედიცინო კონტროლი ჰქონდა პატიმრობაში. საბოლოო ჯამში, 2006 წლის ნოემბერში, ეროვნულმა სასამართლოებმა შეუფარდეს გირაო იმ მოცემულ პერიოდზე, რაც მან უკვე გაატარა წინასწარ პატიმრობასა და გამოძიების საბოლოო ეტაპზე.

ბატონი სტეტნერი ჩიოდა, რომ ხელისუფლების საფუძვლები მისი პატიმრობის შესახებ არ იყო საფუძვლიანი და ასევე გაჭინაურდა მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა 2006 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებაზე - მისი წინასწარი პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. კერძოდ, იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება / სამართალწარმოების

[1] იხ., http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":["001-153019"]}

გონივრულ ვადაში განხორციელება ან სასამართლოს განმავლობაში გათავისუფლება) და მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფს (პატიმრობის კანონიერების შესახებ სასამართლოს მიერ სწრაფად განხილვის უფლება).

სასამართლოს გადაწყვეტილება: არ დარღვეულა მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი

დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი

სამართლიანი დაკმაყოფილება: 2.000 ევრო (არამატერიალური ზიანისთვის)